



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ გიორგი ამილახვარს

ბატონო გიორგი,

მოგესენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	20
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	26
საკონტაქტო ინფორმაცია	28

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

თსუ – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კოლეჯი – სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი.

მართვის საინფორმაციო სისტემა – სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

სამინისტრო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სააგენტო – სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

სამედიცინო უნივერსიტეტი – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

ტექნიკური უნივერსიტეტი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ფონდი – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

1. რეკომენდაციები

1.1 ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა საბუღალტრო გატარებების სრული ბაზა, რის საფუძველზეც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება.¹ უნივერსიტეტის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებისთვის გამოიყენება პროგრამა MS Excel, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს; წარმოდგენილი ფაილების დამუშავება კი, მოითხოვს დიდ დროით და ადამიანურ რესურსს.

სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული წარმოდგენილი საბუღალტრო გატარებების საფუძველზე,² შედეგად:

- 1) კოლეჯმა ვერ წარმოადგინა სრული ინფორმაცია მატერიალური მარაგების, ძირითადი აქტივების და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესახებ. წარმოდგენილია ძირითადი აქტივების და მატერიალური მარაგების ნაშთების შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შესაბამისი მუხლების ბრუნვის შესახებ;
- 2) კოლეჯს ძირითად აქტივად აღიარებული აქვს 1 528 747 ლარის დაუმთავრებელი აქტივები, აღრიცხვა შესრულებულია ძირითადად საკასო მეთოდით³ და ნაწილი თანხებისა მოიცავს არა შესრულებულ სამუშაოებს, არამედ გადარიცხულ თანხებს;
- 3) კოლეჯის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში შემოსავალები ნაცვლად დარიცხვის მეთოდისა, ასახულია საკასო მეთოდით,⁴ ხოლო ასახული ხარჯები ნაკლებია საკასო ხარჯებზე, მაშინ როცა ორგანიზაციას არ უფიქსირდება ვალდებულების საწყისი და მოთხოვნების საბოლოო ნაშთები,⁵ ხოლო მატერიალური მარაგების საბოლოო ნაშთი 20 620 ლარია, კერძოდ:

ცხრილი №1. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული და საკასო ხარჯების შედარება

დასახელება	ფინანსური ანგარიშგება	საკასო ხარჯი	სხვაობა
შრომის ანაზღაურება	14 200	14 200	-
საქონელი და მომსახურება	123 315	854 301	730 986
გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	690 047	699 792	9 745
შიდა ტრანსფერებით ხარჯები	10 783	-	10 783
სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	-	6 165	6 165
სულ	838 345	1 574 458	736 113

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კოლეჯის 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შემდეგი თანხები:

ცხრილი №2. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები

¹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, პუნქტი 5 და მუხლი 7, პუნქტი 1.

² აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, პუნქტი 5.

³ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁴ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁵ ორგანიზაციას უფიქსირდება ვალდებულების საწყისი ნაშთი 1 355 922 ლარი, საიდანაც სააგენტოს მიმართ აღრიცხულია 1 349 712 ლარი, ხოლო მოთხოვნის საბოლოო ნაშთი აღრიცხულია მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის მიმართ.

დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი და სულ საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	
	თსუ	კოლეჯი
აქტივები	269 886 365	12 136 760
ვალდებულებები	23 288 789	206 874
კაპიტალი	246 597 576	11 929 886
შემოსავალი	93 355 226	2 310 102
ხარჯები	82 578 288	1 050 138

მიზეზი

აღრიცხვის არასათანდო პრაქტიკა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კოლეჯის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების სისრულის შესახებ.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციები საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.

კომპონენტები,
რომლებზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად

თსუ და კოლეჯი.

1.2 შიდაჯგუფური ოპერაციები**აუდიტის მიგნება**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად ელიმინირებული უნდა იყოს შიდაჯგუფური შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.⁶

სამინისტროს მიერ არ არის ელიმინირებული:

-) მართვის საინფორმაციო სისტემასა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 316 852 ლარი.
-) სააგენტოსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 14 070 093 ლარი.
-) ფონდსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 10 207 533 ლარი.

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, აღსანიშნავია, რომ ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრომ 2021 წელს ელიმინირებული თანხების იდენტიფიცირებისთვის გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და

⁶ სსპასს 35, მუხლი 40.

ელიმინირებულია როგორც ფულადი, ისე არაფულადი მუხლებით წარმოქმნილი ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

შიდა ოპერაციების თანხების ნაწილი ასახულია მხოლოდ სააგენტოს ხარჯებში, სულ – 1 433 965 ლარი, ესენია:

-) სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი – 1 222 440 ლარი.
-) სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – 22 000 ლარი.
-) სსიპ – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოსო ღვინიაშვილის სახელობის ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა – 189 525 ლარი.

მიზეზი

კონტროლის სისუტე.

გავლენა

შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია ხარჯი და შემოსავალი, სულ – 24 594 478 ლარით. ასევე გაზრდილია გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიების ხარჯი – 1 433 965 ლარით.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №1.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

ცენტრალური აპარატი.

რეკომენდაცია

შესასრულებლად

აუდიტის მიგნება

სააგენტოსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სააგენტო აღიარებს მოთხოვნას მას შემდეგ, რაც ორგანიზაციას გადაურიცხავს ხელშეკრულებით შეთანხმებული მიზნისთვის თანხას, მიმღები მხარე კი, თავის მხრივ, აღრიცხავს ვალდებულებას. ყოველი წლის ბოლოს დგება შედარების აქტი, რომელშიც მოცემულია საანგარიშო წელს ათვისებული თანხა. სააგენტომ ვერ წარმოადგინა სრული ინფორმაცია, თუ როგორ ხდება ათვისებული თანხების გაანგარიშება და დადასტურება. სააგენტოსგან თანხის მიმღები პირების⁷ ათვისებული თანხების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი:

-) რიგ შემთხვევებში მოცემული იყო გადარიცხული თანხები, რომლებიც 2021 წელს არ იყო შესრულებული;
-) რიგ შემთხვევებში მითითებული იყო შესრულებული სამუშაოების თანხა;
-) რიგ შემთხვევებში დაუდგენელი იყო თანხის დაანგარიშების მიდგომა.

მიზეზი

სააგენტოსა და ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული გაცემული თანხების მიზნობრიობის დასადასტურებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

გავლენა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემოსავლების და ხარჯების მუხლებში უზუსტობები.

⁷ სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი და სსიპ – კასპის კოლეჯი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სააგენტომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომლითაც გაიწერება ხარჯის დამმოწმებელი მხარე და დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გადარიცხული და ათვისებული თანხების შესაბამისობისა და მიზნობრიობის დადასტურებას.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

სააგენტო.

რეკომენდაცია

შესასრულებლად

1.3 სწავლის გადასახადი

აუდიტის მიგნება

უნივერსიტეტები სწავლის გადასახადის ოპერაციების აღრიცხვისთვის იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. არ არსებობს ერთიანი მიდგომა უცხოურ ვალუტაში დარიცხულ თანხებთან მიმართებით, თუ რომელი დღის კურსით უნდა მოხდეს მოთხოვნის, ვალდებულების და შემოსავლის დარიცხვა. ამასთანავე, წარმოდგენილი ბაზებით არ არის იდენტიფიცირებადი, რომელი მუხლი წარმოადგენს ფულად და არაფულად მუხლებს. ბუღალტრულად აღრიცხულ თანხებსა და ინდივიდუალურ დავალიანებებს შორის კი, ფიქსირდება სხვაობები.⁸

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს სწავლის გადასახადიდან აღრიცხული აქვს მოთხოვნები – 729 754 ლარი და შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან – 6 517 238 ლარი, ხოლო ვალდებულებები არ ირიცხება. უნივერსიტეტის განმარტებით, შემოსავალი აღრიცხულია საკასო მეთოდით, რომელსაც დამატებული აქვს მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება, ხოლო დებიტორულ დავალიანებაში აღრიცხულია მხოლოდ მიმდინარე დარიცხვებით წარმოშობილი მოთხოვნები და არ არის გათვალისწინებული წინა პერიოდებში წარმოქმნილი დავალიანებები. იმის გამო, რომ სტუდენტთა ბაზიდან ძველი თარიღით ინფორმაციის ამოღება ვერ ხერხდება, უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა სრული ინფორმაცია, რის საფუძველზეც დავიანგარიშებით დარიცხულ შემოსავალს, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს.

ტექნიკურ უნივერსიტეტს სწავლის გადასახადიდან აღრიცხული აქვს მოთხოვნები – 8 265 598 ლარი, ვალდებულებები – 2 569 936 ლარი და შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან – 43 567 978 ლარი. უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია მოცემული თანხების კალკულაციის შესახებ. უნივერსიტეტის განმარტებით, თანხები დაანგარიშდა ელექტრონული სტუდენტური პროგრამა VICI-ის ბაზის საფუძველზე,⁹ სადაც ასახულია სტუდენტების მონაცემები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ. აღნიშნული ბაზიდან ძველი თარიღით ინფორმაციის ამოღება ვერ ხერხდება,¹⁰ ხოლო დაანგარიშებისთვის გამოყენებული ბაზები არ არის შენახული.

ამასთანავე, ვალდებულების საბოლოო ნაშთი ემთხვევა საწყისს ნაშთს, რომელიც ორგანიზაციის განმარტებით, გადმოტანილია ძველი ბუღალტრული პროგრამიდან და გატარებების წარმომავლობა და

⁸ აღრიცხვის ინსტრუქცია, თავი 2.

⁹ პროგრამა VICI დაინერგა 2020 წლის სექტემბრიდან და მიმდინარეობს მუდმივი განახლება.

¹⁰ უნივერსიტეტის განმარტებით, უკუსვლით, 2021 წლის 31 დეკემბრამდე გასვლა და იმ ბაზის ამოღება (შესაბამისად, შემოწმება), რომლის საფუძველზეც მოხდა იმ მომენტისათვის არსებული ფინანსური მაჩვენებლების დაფიქსირება, შესაძლებელია, მაგრამ წარმოუდგენელ სირთულეებთანაა დაკავშირებული. აქ იგულისხმება წმინდა ტექნიკური მხარე, კერძოდ, რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ამ საქმეზე იქნება კონცენტრირებული და სავარაუდოდ, რამდენიმე თვე დასჭირდება.

სისწორე არ არის გარკვეული; მოთხოვნების საბოლოო ნაშთი კი, წარმოიქმნა საწყისი ნაშთისა და დარიცხული/საკასო შემოსავლების გატარებების საფუძველზე, თუმცა მოცემული თანხების კალკულაციის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

- სამედიცინო უნივერსიტეტს სწავლის გადასახადიდან აღრიცხული აქვს მოთხოვნები – 7 584 747 ლარი, ვალდებულებები – 15 805 123 ლარი და შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან – 76 255 676 ლარი. წარმოდგენილი სტუდენტური ბაზის და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები ვალდებულების ნაწილში არ ედრება ერთმანეთს, ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ჯამურად, ხოლო სტუდენტთა ბაზაში წინასწარ მიღებული თანხები ასახულია 31 ივლისის და 31 დეკემბრის მდგომარეობით. გარდა ამისა, მოთხოვნებში აღრიცხულია ისეთი სტუდენტების დავალიანებებიც, რომლებსაც უცხოურ ვალუტაში დავალიანება დაფარული აქვთ, თუმცა დავალიანება ასახულია ლარში.
- სსუ-ს სწავლის გადასახადიდან აღრიცხული აქვს მოთხოვნები – 7 674 645 ლარი, ვალდებულებები – 4 961 340 ლარი და შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან – 57 992 331 ლარი, საიდანაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის კურსით ასახულია 340 232 დოლარის კრედიტორული დავალიანება. კრედიტორულ დავალიანებაში არ არის გამიჯნული ფულადი და არაფულადი მუხლები. მოცემული თანხების სრულად 31 დეკემბრის კურსით გადაანგარიშება არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს,¹¹ რომლის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით გადაანგარიშდება ფულადი მუხლები.

აღნიშნული გარემოებების და იმის გამო, რომ სტუდენტები ინფორმაციას ფლობენ სემესტრულად გადასახდელ თანხებზე, სასწავლო წელი კი არ ემთხვევა საანგარიშგებო წელს, აუდიტის ჯგუფმა ვერ გაგზავნა დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით დაადასტურა აღრიცხული დავალიანებები/შემოსავლები.

მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო, არაერთგვაროვანი პრაქტიკა და კონტროლის სისუსტე.
გავლენა	შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი შემოსავლების, ვალდებულებების და მოთხოვნების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, წარმოშობაზე, სისრულესა და სისწორეზე.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი პოლიტიკა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების სწავლის საფასურის მიხედვით განხორციელებული ოპერაციების (დარიცხვა, გადახდა და ა.შ.), აგრეთვე უცხოური ვალუტის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და შემოსავლების საბუღალტრო რეგისტრებში სრული, დროული და ზუსტი ასახვა.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ცენტრალური აპარატი.

¹¹ სსპასს 4 მუხლი 27.

1.4 მოთხოვნები და ვალდებულებები, ძირითადი, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს:

-) არ აქვს აღრიცხული 2021 წელს ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები, სულ – 615 331 ლარი;¹²
-) არ აქვს აღრიცხული წინასწარი ანგარიშსწორების ფარგლებში 2021 წელს ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები, რის შედეგადაც გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი 1 555 804 ლარით;¹³
-) წინასწარი ანგარიშსწორების ფარგლებში 2020 წელს შესრულებული სამშენებლო სამუშაოები აღრიცხული აქვს 2021 წელს, რის შედეგადაც გაზრდილია მოთხოვნების საწყისი ნაშთი 6 610 793 ლარით;¹⁴
-) არ აქვს აღრიცხული 2021 წელს შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, სულ – 1 990 600 ლარი.¹⁵ შედეგად, შემცირებულია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი.¹⁶

ტექნიკურ უნივერსიტეტს:

-) 2021 წელს ასახული აქვს სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან 2020 წელს მიღებული 6 153 965 ლარის აქტივები. შედეგად, შემცირებულია ძირითადი აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება – 5 823 617 ლარით;¹⁷
-) 2021 წელს არ აქვს ასახული სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მიღებული 179 741 ლარის ღირებულების აქტივები. შედეგად, შემცირებულია ძირითადი აქტივების საბოლოო საბალანსო ღირებულება – 164 515 ლარით;¹⁸
-) არ აქვს აღრიცხული სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან 2021 წელს გადმოცემული არამატერიალური აქტივები, სულ – 376 946 ლარი. შედეგად, შემცირებულია არამატერიალური აქტივების საბოლოო საბალანსო ღირებულება.¹⁹

მიზეზი

საბუღალტრო სამსახურისთვის დოკუმენტაციის დროულად მიწოდების კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

გავლენა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების, ვალდებულებების, ძირითადი, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მუხლებში, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებში უზუსტობები.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №4.

¹² აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹³ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹⁴ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹⁵ საიდანაც 180 536 ლარი წარმოადგენს 2020 წლის კორექტირებას.

¹⁶ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹⁷ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹⁸ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹⁹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

1.5 მატერიალური მარაგები, ძირითადი, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

ტექნიკურ უნივერსიტეტს მატერიალურ მარაგებში აღრიცხული აქვს 475 339 ლარის უძრავი ნაშთი. უნივერსიტეტის განმარტებით, ნაშთი წარმოადგენს წლების განმავლობაში კვლევით ცენტრებზე გაცემულ მარაგებს, რომლის ხარჯებში ჩამოწერის საკითხი პოლიტიკით არ არის დარეგულირებული. რიგ შემთხვევებში, მარაგები აღრიცხულია მხოლოდ თანხობრივად, რის შედეგად არ არის იდენტიფიცირებადი მარაგის სახეობა, რაოდენობა, მიმღები მხარე და ა.შ.

თსუ-ს²⁰ ძირითად აქტივებში აღრიცხული აქვს:

- საბიბლიოთეკო ფონდი, სულ – 27 226 207 ლარი. მოცემული აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა, ასევე ობიექტის განმარტებით აღრიცხული აქტივები, გარდა თანამედროვე და პოპულარული გამოცემებისა, ასევე მოიცავს რარიტეტულ და იშვიათ გამოცემებს, დაზიანებულ და ჩამოსაწერ წიგნებს, თუმცა ზუსტი თანხობრივი იდენტიფიცირება ამ ეტაპზე შეუძლებელია;
- 122 515 ლარის ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებიც უნივერსიტეტის განმარტებით, განადგურებულია, არ ექვემდებარება აღდგენას, სრულად სარეაბილიტაციოა, დანგრეულია, სარეაბილიტაციო და/ან სარემონტოა, საიდანაც 59 236 ლარის აქტივები არ არის რეგისტრირებული მის სახელზე ან უნივერსიტეტი საკადასტრო კოდეზის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს;²¹
- 80 242 ლარის ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებიც უნივერსიტეტის განმარტებით, არ გამოიყენება და არის გადაცემის პროცესში, თუმცა უნივერსიტეტი გადაცემის დოკუმენტაციას და საკადასტრო კოდეზის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს;
- 3 129 547 ლარის ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებიც უნივერსიტეტის განმარტებით, არ გამოიყენება იმის გამო, რომ უნივერსიტეტი ვერ ახორციელებს მათზე ფაქტობრივ კონტროლს. კერძოდ, მითითებულ შენობა-ნაგებობებში განსახლებულნი არიან იძულებით გადაადგილებული პირები/უნივერსიტეტის თანამშრომლები. ამასთანავე, 101 222 ლარის აქტივებზე უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია საკადასტრო კოდეზის შესახებ და განმარტა, რომ ქონება არ არის რეგისტრირებული;
- აღრიცხული აქვს 688 775 ლარის შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ არის რეგისტრირებული მის სახელზე ან უნივერსიტეტი საკადასტრო კოდეზის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს;²²
- აღრიცხული აქვს 5 615 511 ლარის მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო კოდის შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტი არ ფლობს.

უნივერსიტეტმა რიგი აქტივების შესახებ გაკეთებული განმარტებების საფუძველად წარმოადგინა 2016 წლის ქონების ინვენტარიზაციის უწყისი, რომელიც სრულად ვერ შედარდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ

²⁰ მოცემული თანხები წარმოადგენს 2021 წლის საბოლოო საბალანსო ღირებულებებს.

²¹ არ არის რეგისტრირებული - 31 994 ლარის, ხოლო ინფორმაციას არ ფლობს 27 243 ლარის აქტივებზე.

²² არ არის რეგისტრირებული 337 787 ლარი, ინფორმაციას არ ფლობს 350 987 ლარის აქტივებზე.

ინფორმაციას. 2020-2021 წლებში კი, ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და უნივერსიტეტს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი.²³

თსუ-ს აღრიცხული აქვს 110 095 ლარის სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები, რომლებიც, უნივერსიტეტის განმარტებით, 2010 წელს შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აქტივია. აქტივის დოკუმენტაცია უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა, პასუხისმგებელი პირის განმარტებით კი, მოცემული აქტივი არ გამოიყენება.

სააგენტოს აღრიცხული აქვს სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების უძრავი ნაშთი, სულ – 15 789 711 ლარი,²⁴ რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სააგენტომ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, დასრულებულია თუ არა სამშენებლო სამუშაოები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეჩერებულია თუ არა სამშენებლო სამუშაოები და უახლოეს მომავალში იგეგმება თუ არა სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება ან დასრულება.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, სტანდარტში²⁵ მოცემულია ინფორმაცია გაუფასურების ინდიკატორების შესახებ, ორგანიზაციას 2021 წელს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი.

ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის ერთ-ერთი მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და, ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი და ვალდებულება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე იზრდება აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობა.

თსუ-სა და სააგენტოში კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია 2021 წელს არ ჩატარებულა. **ტექნიკურ უნივერსიტეტში** უძრავი ქონების ინვენტარიზაცია 2021 წელს არ დასრულებულა, არამატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია ჩატარებულია არასრულად.

არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირების, დაცულობის, ეფექტიანი მართვისა და ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივებისათვის, საჭიროა

²³ სსბასს 21, მუხლი 27 და სსბასს 26, მუხლი 25.

²⁴ საიდანაც სააგენტოს განმარტებით, 932 637 ლარის აქტივების შემთხვევაში სამუშაოები შესრულებულია არაჯეროვნად/შეწყვეტილია ხელშეკრულება.

²⁵ სსბასს 21, მუხლი 27 და სსბასს 26, მუხლი 25.

ორგანიზაცია ფლობდეს და აღრიცხავდეს აქტივებთან დაკავშირებულ შემდეგი სახის ინფორმაციას:

-) მინიჭებული საინვენტარო ნომრის ან შტრიხკოდის შესახებ;
-) მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შესახებ;
-) ადგილმდებარეობის შესახებ.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ძირითადი აქტივების რეესტრში არ არის მითითებული საინვენტარო ნომრები, აქტივის ზუსტი ადგილმდებარეობა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირები. ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია არც 2020 წელს ჩატარებულა, რის გამოც არ არის განხილული – გარკვეული ტიპის აქტივების/ვალდებულებების შემთხვევაში, არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები. ამასთანავე, ორგანიზაციას აღრიცხული აქვს მატერიალური მარაგების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების უძრავი ნაშთები.

მიზეზი ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა მატერიალურ მარაგებში, ძირითადი, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მუხლებში – უზუსტობები.

რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებით შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად ტექნიკური უნივერსიტეტი, თსუ და სააგენტო.

აუდიტის მიგნება არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არამონეტარული აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე.²⁶ ერთეულმა უნდა შეაფასოს, განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა.²⁷ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივები არ უნდა იქნეს ამორტიზებული;²⁸ თუმცა ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ შეფასებული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება და მიზეზები, რომლებიც ადასტურებს ამ აქტივის განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას.²⁹ ამასთანავე, სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება³⁰ და განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ყველა პერიოდში უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს, კვლავაც ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ

²⁶ სსბასს 31, მუხლი 16.

²⁷ სსბასს 31, მუხლი 87.

²⁸ სსბასს 31, მუხლი 106.

²⁹ სსბასს 31, მუხლი 121.

³⁰ სსბასს 31, მუხლი 107.

არამატერიალურ აქტივს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს.³¹

- სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 2014-2017 წლებში შესყიდული 892 056 ლარის არამატერიალური აქტივები, რომლებიც არის საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო, გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების დოკუმენტაცია. ორგანიზაციას მოცემული აქტივებისთვის არ დაურიცხავს ამორტიზაცია. სააგენტოს არ შეუფასებია, მოცემული აქტივები აკმაყოფილებენ თუ არა არამატერიალურ აქტივებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ორგანიზაციის განმარტებით, აღრიცხული 678 477 ლარის პროექტების ფარგლებში დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები, თუმცა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, აღნიშნული აქტივები ასახულია თუ არა სხვა გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებში ან გადაცემულია თუ არა სხვა ორგანიზაციისთვის; 213 579 ლარის პროექტი კი, სააგენტოს განმარტებით, არ არის იდენტიფიცირებადი.
- ტექნიკურ უნივერსიტეტს სხვადასხვა წელს შეძენილ 43 439 ლარის არამატერიალურ აქტივებზე 2021 წელს არ აქვს დარიცხული ამორტიზაცია; მოცემული აქტივები მოიცავს სხვადასხვა სპორტსმენის ტრანსფერებს, ლიცენზიებს, პატენტებს და ა.შ. ორგანიზაციას არ შეუფასებია, რომელი მათგანი წარმოადგენს განსაზღვრული და რომელი განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივების ჯგუფს. ასევე, უფლებამოსილი პირის განმარტებით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვადები არ გადასინჯულა.

მიზეზი

კონტროლის სისუსტე და კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაციის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 935 495 ლარის არამატერიალური აქტივების საბოლოო ნაშთის უფლებებსა და ვალდებულებებზე, სისწორესა და კლასიფიკაციაზე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები არამატერიალურ აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, **ტექნიკურმა უნივერსიტეტმა** არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე, ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სააგენტო და ტექნიკური უნივერსიტეტი.

1.6 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

³¹ სსპასს 31, მუხლი 108.

აუდიტის მიგნება

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,³² მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.³³

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,³⁴ ინფორმაცია პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესახებ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებზე.

სააგენტოში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიული სამსახურის კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად არ აისახება მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები. კერძოდ: დასრულებული დავების შემთხვევაში არ არის ასახული მათი შედეგები, დავის მოგების ალბათობის გათვალისწინებით, არ არის სწორად გამიჯნული თანხები პირობით აქტივებსა და დებიტორულ დავალიანებებს შორის. გარდა ამისა, ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე დავალიანება აღრიცხულია როგორც პირობით აქტივებში, ასევე დებიტორულ დავალიანებაში, სულ – 110 556 ლარი.

მიზეზი**გავლენა**

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე. (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №9.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა**რეკომენდაცია****შესასრულებლად**

სააგენტო.

1.7 სააღრიცხვო პოლიტიკა**აუდიტის მიგნება**

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.³⁵

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ 2022 წელს შექმნა სამუშაო ჯგუფი და დაიქირავა ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაზე.

³² სსბასს 1, მუხლი 27.

³³ სსბასს 19.

³⁴ მუხლი 10, პუნქტი 30.

³⁵ აღრიცხვის ინსტრუქცია, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები; მე-5 მუხლი, პუნქტი 4.

2021 წელს სამინისტროში მოქმედებდა ერთი და იმავე ოპერაციების მიმართ განსხვავებული მიდგომები, მათ შორის:

-) სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი დავალიანებების და შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტები იყენებდნენ განსხვავებულ პოლიტიკას.
-) რიგ შემთხვევებში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების³⁶ მიღება-გასვლის ნაწილი მოიცავს ასევე მუხლის ქვეანგარიშებს შორის მოძრაობასაც, რიგ შემთხვევებში კი – არა.
-) ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში³⁷ სხვისთვის გადასაცემი აქტივები ასახულია როგორც ძირითადი აქტივები, ასევე – როგორც მატერიალური მარაგები და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები.
-) რიგ შემთხვევებში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების³⁸ ნაწილი მოიცავს ცვეთით განულებულ აქტივებსაც, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში – არა. მოცემული აქტივების საცნობარო ანგარიშზე გადატანის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ინვენტარიზაციის აქტებში.
-) გამოვლენილია ისეთი აქტივები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2021 წელს განულებულია და გადატანილია საცნობარო ანგარიშზე, თუმცა კვლავ გამოიყენება. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,³⁹ აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს სსპას 3-ის მიხედვით, რაც რიგ შემთხვევაში 2021 წელს არ არის გამოყენებული.
-) **სამედიცინო უნივერსიტეტი** პაციენტების მომსახურებიდან წარმოქმნილ შემოსავლებს, რომლებიც კორექტირდება სადაზღვევო ორგანიზაციების ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა აღრიცხავს შემოსავლების შემცირებით, ხოლო გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა – ხარჯის აღიარებით.
-) **ტექნიკურ უნივერსიტეტს** 2021 წელს ერთი და იმავე სარემონტო სამუშაოებიდან წარმოქმნილი მომსახურება ერთ შემთხვევაში აღიარებული აქვს აქტივად, ხოლო სხვა შემთხვევაში – ხარჯად.

მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

გავლენა

არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №8.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი.

³⁶ S3, S6.

³⁷ S3, S6, S11.

³⁸ S6.

³⁹ სსპას 17, მუხლი 67.

1.8 კონტროლის ნაკლოვანება

აუდიტის მიგნება

საქართველოს მთავრობის №147 განკარგულების⁴⁰ მიხედვით, სამინისტრო ახორციელებს მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამინისტროს განმარტებით, დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო 2022 წლიდან, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე, სააგენტოს პროგრამის სპეციალისტები მივლინების ფარგლებში ამოწმებენ შესაბამის ობიექტს. სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს ზედამხედველობა არ განხორციელებულა იმ მიზეზით, რომ საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დისტანციურად, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოცემულ წელს სასწავლო პროცესი სრულად არ წარმართულა დისტანციურად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“⁴¹ მიხედვით:

1. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, კანონით გათვალისწინებული წესით. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. სკოლა ყოველი წლის არაუგვიანეს 1 მაისისა, მაკონტროლებელ ორგანოს წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით.

სამინისტროს განმარტებით, სკოლების მხრიდან განხორციელებული ფინანსური საქმიანობის თაობაზე ანგარიშების წარდგენა ხდება საგანმანათლებლო რესურსცენტრების მეშვეობით, ყოველი კალენდარული წლის დასრულების შემდგომ, მომავალი კალენდარული წლის თებერვლის ბოლომდე. ფინანსური ანგარიშების მიღებაზე პასუხისმგებელია სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი.

რაც შეეხება ყოველწლიური ანგარიშის წარდგენას, სამინისტროში აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი, არსებული ფორმით არ მოქმედებს და საჭიროებს ცვლილებას/დაზუსტებას.

⁴⁰ 2021 წლის 4 თებერვალი, დანართი „მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ“ ხელშეკრულება, მუხლი 2.

⁴¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება, მუხლი 20.

მიზეზი	კონტროლის სისუსტე.
გავლენა	ფინანსური დანაკარგების რისკი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გამიჯვნა და გაძლიერდეს შეთანხმებული პირობების შესრულებაზე კონტროლი.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია	ცენტრალური აპარატი და სააგენტო.

1.9 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება	სსბასს 31 – „არამატერიალური აქტივების“ მიხედვით, უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ – განუსაზღვრელი. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება.⁴² ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ცენტრალურ აპარატში არ გამოიყენება სსბასს 31-ის მითითებები, ვადების შეფასებასთან დაკავშირებით. არ არის დასაბუთებული ისეთი არამატერიალური აქტივების ნაწილზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი, რომელთაც მინიჭებული აქვთ 10%-იანი ნორმა.⁴³
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №7.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია	ცენტრალური აპარატი და ტექნიკური უნივერსიტეტი.
შესასრულებლად	

1.10 საბანკო ანგარიშები

აუდიტის მიგნება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებში ერთ საბანკო ანგარიშზე 2021 წელს ხაზინის ამონაწერის
------------------------	--

⁴² სსბასს 31, 87-ე და 107-ე მუხლები.

⁴³ მათ შორისაა ისეთი აქტივებიც, რომელთაც უფიქსირდებოდათ 10 წელზე ნაკლები სასარგებლო მომსახურების ვადა (მაგალითად, ავტორიზაცია/აკრედიტაცია) ან შესაძლებელია წარმოადგენდეს განუსაზღვრელი მომსახურების მქონე აქტივს (მაგალითად, აუდიოჩანაწერები).

მიხედვით ფიქსირდება 7 სხვადასხვა მიმღები, სულ – 26 042 ლარი. მოცემული გადარიცხვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი.⁴⁴ **ტექნიკური უნივერსიტეტის** 2021 წლის გადარიცხვებში ერთი საბანკო ანგარიშით ფიქსირდება რამდენიმე მიმღები, სულ მითითებულ ანგარიშებზე გადარიცხულია 115 647 ლარი.

უნივერსიტეტის განმარტებით, არ იძებნება სახელფასო უწყისებში ასახული ის რეალური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი გადარიცხვების განხორციელებისათვის. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლების ხელფასები ჩარიცხულია როგორც მათ პირად ანგარიშზე, ასევე სხვა პირების საბანკო ანგარიშებზე, რომელთა კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იძებნება; ასევე უნივერსიტეტისთვის უცნობი პირი მიმღებად ფიქსირდება 2020 წლის გადარიცხვებში და გადარიცხული თანხა შეადგენს 7 861 ლარს.⁴⁵

ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოვლენილია შემდეგი:

-) სამ პირს „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლიდან მიღებული აქვს ანაზღაურება, რომლის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, სულ – 1 724 ლარი.⁴⁶
-) ერთ პირს მიღებული აქვს სხვა პირის სტიპენდია, სულ – 1 200 ლარი. აუდიტის მიმდინარეობის დროს მოცემული უზუსტობა არ იყო გასწორებული.

მიზეზი

გავლენა

რეკომენდაცია

კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია

კონტროლის სისუსტე.

ფინანსური რესურსების არასწორი განკარგვის რისკი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №10.

ოსუ და ტექნიკური უნივერსიტეტი.

1.11 შრომის ანაზღაურება

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან შერჩეულ პირებზე გამოთხოვილია ინფორმაცია მათი გარდაცვალების თარიღების შესახებ, შედეგად:⁴⁷

-) **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** ერთ-ერთ დასაქმებულ პირს გარდაცვალების შემდეგ ჩარიცხული აქვს შრომის ანაზღაურება, 2021 წელს – 8 713 ლარი, ხოლო 2020 წელს – 2 215 ლარი, ჯამში – 10 928 ლარი.
-) **სამედიცინო უნივერსიტეტში** დასაქმებული პირი გარდაიცვალა 2021 წლის 24 მაისს, რის საფუძველზეც გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა შრომის ანაზღაურება გაიცემოდა 2021 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის მაისის ჩათვლით. სულ, 2021 წელს ზედმეტად გაცემული თანხა შეადგენს – 2 800 ლარს.

⁴⁴ ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის აუდიტის პროცესში გაგზავნილია საქართველოს პროკურატურაში, წერილი № 001981/16, 22.03.2022.

⁴⁵ ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის აუდიტის პროცესში გაგზავნილია საქართველოს პროკურატურაში, წერილი № 001982/16, 22.03.2022.

⁴⁶ საიდანაც მიმღებ ერთ-ერთ პირზე ტექნიკურ უნივერსიტეტს გაგზავნილი აქვს შეტყობინება საქართველოს პროკურატურაში.

⁴⁷ მოცემულია ხელზე გაცემული თანხები.

	) ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021 წელს შრომის ანაზღაურების სახით, გარდაცვალების შემდგომ დასაქმებულ და ემერიტუსის სტატუსის მქონე პირებს ჩაერიცხათ 2021 წელს 26 486 ლარი, ხოლო 2020 წელს – 13 545 ლარი.
მიზეზი	კონტროლის სისუსტე.
გავლენა	„შრომის ანაზღაურების“ მუხლში უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გარდაცვლილი პირების დროულ გამოვლენას და უზუსტობის დროულ აღმოფხვრას.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	თსუ, სამედიცინო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი.
1.12 საწვავი	
აუდიტის მიგნება	საწვავის ლიმიტების და სარგებლობის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი კონტროლის ნაკლოვანებები:) სააგენტოს არ აქვს დადგენილი საწვავის ლიმიტების თვიური ოდენობა, ბრძანება განსაზღვრავს თითოეული ავტომობილის მიერ წლის განმავლობაში მხოლოდ ჯამურად ასათვისებელ მოცულობებს. გარდა ამისა, ორგანიზაციას მივლინების მიზნებისათვის ცალკე აქვს განსაზღვრული ყველა სატრანსპორტო საშუალებისათვის ერთიანი წლიური ლიმიტი. აღნიშნული პრაქტიკა არ იძლევა ხარჯვის სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას და ართულებს კონტროლის პროცესს.) სამედიცინო უნივერსიტეტში 2021 წელს ორ ავტოსატრანსპორტო საშუალებას უფიქსირდება ბრძანებით დამტკიცებულ ლიმიტზე 456 ლიტრით მეტი საწვავით სარგებლობა.) ტექნიკურ უნივერსიტეტში: ➤ რამდენიმე ავტომობილს კონკრეტულ თვეებში უფიქსირდება საწვავით სარგებლობა, სულ – 1 678 ლიტრი, თუმცა მოცემულ თვეებში ამ ავტომობილებისათვის არ იყო დადგენილი საწვავის ლიმიტები. უნივერსიტეტის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით; ➤ ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებას უფიქსირდება ავზზე მეტი მოცულობით საწვავით სარგებლობა. უნივერსიტეტის განმარტებით, ავტომობილი მოცემულ დღეებში იმყოფებოდა კონკრეტულ რეგიონში, ამიტომ დამატებით გაივსო ჭურჭელი (რკინის ავზი), თუმცა უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა მივლინების ბრძანება ან სხვა დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა საწვავის ხარჯვის მიზნობრიობა.
მიზეზი	კონტროლის სისუსტე.
გავლენა	საწვავის ხარჯში უზუსტობები.
რეკომენდაცია	სამედიცინო და ტექნიკურმა უნივერსიტეტებმა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლიმიტთან შეუსაბამო შემთხვევების დროულ გამოვლენას და აღმოფხვრას.

სააგენტომ და ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად კონკრეტულ პირზე საწვავი გასცენ დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელშიც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტის (ADB) (32 19 პროგრამული კოდი) სასესხო შეთანხმების ფარგლებში ხაზინის ანგარიშზე 31 დეკემბრისთვის არსებული 1 079 573 ლარი. ⁴⁸
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამედიცინო უნივერსიტეტს ⁴⁹ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი შემცირებული აქვს 30 583 ლარით, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ვალდებულებას, ხოლო მოთხოვნების/ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს. ⁵⁰ სააგენტოს არ აქვს აღრიცხული კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ დაკისრებული ჯარიმები, სულ – 278 072 ლარი.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ცენტრალური აპარატი, სამედიცინო უნივერსიტეტი და სააგენტო.

2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამედიცინო უნივერსიტეტს გრძელვადიანი აქტივების ანგარიშზე ასახული აქვს 2020 წელს შეძენილი 40%-იანი წილი შპს „გნ კომი“, ⁵¹ სულ – 36 835 200 ლარი.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსბასს 36-ში, „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ – კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის „წმინდა აქტივებში/კაპიტალში“ ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილებების შესაბამისად; სამედიცინო უნივერსიტეტს კი, კაპიტალ-მეთოდით არ შეუფასებია წილი. ⁵²
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამედიცინო უნივერსიტეტი.

2.3 ძირითადი, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	საჯარო სკოლებს ⁵³ 2021 წელს ასახული აქვთ სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან 2020 წელს მიღებული 6 437 327
-----------------	---

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის №17 ბრძანება, მუხლი 8, პუნქტი 4.

⁴⁹ გივი ჟვანიაშვილის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა.

⁵⁰ სსბასს 1, მუხლი 48.

⁵¹ საიდენტიფიკაციო კოდი 204964887.

⁵² სსბასს 36, მუხლი 8; აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 10, 46-ე და 47-ე პუნქტები.

⁵³ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის სკოლა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის საჯარო სკოლა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის სკოლა.

ლარის აქტივები. შედეგად, შემცირებულია ძირითადი აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება.⁵⁴

ტექნიკურ უნივერსიტეტს 2021 წელს ცვეთის არ დარიცხვის გამო გაზრდილი აქვს ძირითადი აქტივების საბოლოო საბალანსო ღირებულება – 2 294 766 ლარით.⁵⁵

თსუ-ს 2020 წელს მიღებული ერთი და იგივე აქტივი აღიარებული აქვს როგორც 2020 წელს, ასევე – 2021 წელს. შედეგად, გაზრდილია ძირითადი აქტივების საბოლოო საბალანსო ღირებულება – 123 250 ლარით.

ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 64 კონდიციონერის დანაკლისი, პირვანდელი ღირებულებით – 57 754 ლარი, რომლის 2021 წლის საბოლოო საბალანსო ღირებულებაც 33 435 ლარი. აღნიშნული აქტივები ნაცვლად „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით“ მუხლისა, აღრიცხულია, როგორც ძირითადი აქტივები.

სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლას ასახული აქვს 812 619 ლარის ძირითადი აქტივი, რომლის პირვანდელი ღირებულება წარმოდგენილი წერილით,⁵⁶ მოცემულია უცხოურ ვალუტაში და სკოლამ ვერ წარმოადგინა განმარტება და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელი თარიღის კურსით აქვს აღრიცხული შენობა-ნაგებობა.

სააგენტოს არამატერიალურ აქტივებში აღრიცხული აქვს 35 700 ლარის ვადაგასული სერტიფიკატი, რის შედეგადაც გაზრდილია არამატერიალური აქტივების საბოლოო საბალანსო ღირებულება.⁵⁷

სააგენტოს 2021 წელს რეტროსპექტული გადაანგარიშების⁵⁸ დროს არ აქვს გათვალისწინებული 2016 წელს 50 892 ლარის გათბობის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების საჯარო სკოლისთვის გადაცემა. შედეგად, გაზრდილია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი.

საჯარო სკოლები,⁵⁹ ტექნიკური უნივერსიტეტი, თსუ, სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლა და სააგენტო.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

2.4 ხარჯები

აუდიტის მიგნება

სამედიცინო უნივერსიტეტს:⁶⁰

- სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსგან 2021 წელს მიზარების პირობით მიღებული მატერიალური მარაგები გახარჯული და აღრიცხული აქვს 2021 წელს, სულ – 373 143 ლარი. მოცემული პირობა

⁵⁴ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 1.

⁵⁶ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის წერილი №2019-10/504, 2019 წლის 22 ოქტომბერი.

⁵⁷ სსბასს 1, მუხლი 7.

⁵⁸ რეტროსპექტული გადაანგარიშება არის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების თანხების აღიარების, შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების იმგვარად შესწორება, თითქოს წინა პერიოდის შეცდომები არც დაშვებულია.

⁵⁹ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის სკოლა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის საჯარო სკოლა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის სკოლა.

⁶⁰ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა.

არ აკმაყოფილებდა აქტივად აღიარების კრიტერიუმებს,⁶¹ შედეგად, გაზრდილია სამედიცინო ხარჯები;

ბ) ერთი და იმავე საფუძვლით, 17 393 ლარის საქონელი და მომსახურების ხარჯი აღრიცხული აქვს ორჯერ.

სააგენტოს 2020 წლის ექსპერტიზის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი 88 734 ლარის ხარჯები აღრიცხული აქვს 2021 წელს.⁶²

სამედიცინო უნივერსიტეტი⁶³ გადაფასების შედეგად წარმოქმნილ კურსთა შორის სხვაობიდან მიღებულ შემოსავლად აღიარა ბანკში ჩარიცხული თანხა და გაიზარდა სხვადასხვა შემოსავლები, რის შედეგადაც შემცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში დაანგარიშებული კურსთა შორის სხვაობიდან წარმოშობილი ნეტო, სხვადასხვა ხარჯები – 351 285 ლარით.

ცენტრალურ აპარატს საგადასახადო ბარათზე არსებული ვალდებულება ნაცვლად რეტროსპექტული გასწორებისა, ასახული აქვს მიმდინარე პერიოდის ხარჯად. შედეგად, გაზრდილია სხვადასხვა ხარჯები – 265 927 ლარით.⁶⁴

ტექნიკურ უნივერსიტეტს ცვეთის არასწორად დარიცხვის/არ დარიცხვის გამო, 2021 წლის ცვეთის ხარჯი შემცირებული აქვს 2 512 447 ლარით.⁶⁵ (იხილეთ 1.6 ქვეთავი)

თსუ-ს 2021 წელს მიღებული აქტივებისათვის არ აქვს გამოყენებული ცვეთის პროპორციულად დარიცხვის მეთოდი. შედეგად, გაზრდილია ცვეთის ხარჯი, სულ – 125 730 ლარით.⁶⁶

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ცენტრალური აპარატი, სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი, თსუ და სამედიცინო უნივერსიტეტი.

2.5 რეტროსპექტული გადაანგარიშება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად შეცვლილი აქვს აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთები, რომლებიც დაკავშირებულია 2021 წლამდე ოპერაციებთან.

მათ შორის, 2020 წელთან დაკავშირებული შეცდომების გასწორება ასახულია მხოლოდ ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებებში.

სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების მიხედვით, ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გაასწოროს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომები, გამოსაცემად ნებადართულ

⁶¹ სსბასს 1, მუხლი 7.

⁶² აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁶³ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი.

⁶⁴ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁶⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 1.

⁶⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 3.

პირველივე ფინანსურ ანგარიშგებებში შეცდომების გამოვლინებისთანავე, შემდეგი გზით:

-) იმ წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა ან
-) წარდგენილი ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა ყველაზე ადრეულ წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდამდე.⁶⁷

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში არ არის მოცემული იმ კორექტირებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს 2020 წლის ოპერაციებიდან და წარმოადგენს ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს, ასევე იმ ხარჯებს, რომლებიც საჯარო სკოლებმა მიიღეს როგორც მიმდინარე (არაკაპიტალური) სამშენებლო სამუშაოები, სულ – 9 297 985 ლარი.

კომპონენტი, სადაც

გამოვლინდა დარღვევა

2.6 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კონსოლიდირებული ერთეულები.

აუდიტის მიგნება

ორგანიზაციებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემული აქვთ შტატით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და სხვადასხვა ხარჯები, სულ – 16 731 560 ლარი.⁶⁸

სსბასს 1-ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“⁶⁹ მიხედვით, სამართლიანი და შესაბამისი ინფორმაციის წარსადგენად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში აღიარებული ხარჯები უნდა დაყოს ქვეჯგუფებად, რათა ნათლად გამოიკვეთოს ანგარიშვალდებული ერთეულის კონკრეტულ პროგრამებსა და სხვა საქმიანობებზე გაწეული დანახარჯები.

სამედიცინო უნივერსიტეტი⁷⁰ 2021 წელს დარიცხული აქვს 894 455 ლარის შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს პაციენტებისთვის გაწეული მომსახურებიდან შემოსავლებს. აღნიშნული დარიცხვის საფუძველად წარმოდგენილია მოხსენებითი ბარათი,⁷¹ რომლის მიხედვით ახალი პროგრამის დანერგვის შემდეგ საჭირო გახდა გარკვეული ტიპის კორექტირებები, რომელიც, მათ შორის, დაკავშირებული იყო გასულ პერიოდებთან. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში არ არის ასახული, თუ რატომ იყო შეუძლებელი მოცემული თანხების რეტროსპექტული გადაანგარიშება.⁷²

ტექნიკურ უნივერსიტეტში:

-) ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია მატერიალური მარაგები, რომლებიც 2021 წლის საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის მიხედვით ჩამოსაწერია, ჯამური ღირებულებით – 43 742 ლარი.

⁶⁷ სსბასს 3, მუხლი 47.

⁶⁸ თსუ – 10 560 619 ლარი, სამედიცინო უნივერსიტეტი – 907 598 ლარი და ტექნიკური უნივერსიტეტი – 5 263 342 ლარი.

⁶⁹ სსბასს 1, 93-ე, 106-ე, 109-ე, 111-ე მუხლები.

⁷⁰ პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას.

⁷¹ №11/3287, 2021 წლის 25 ოქტომბერი.

⁷² სსბასს 3, მუხლი 54, „დ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნული მარაგებიდან 38 813 ლარის მარაგი ასახულია მატერიალური მარაგების ანგარიშზე, 2 116 ლარის საცნობარო ანგარიშზე, ხოლო 2 813 ლარის ღირებულების მარაგის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა;

- 2020 წლის ინვენტარიზაციის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ჩამოსაწერი იყო 1 360 346 ლარის ძირითადი აქტივები და 627 636 ლარის – მცირეფასიანი აქტივები. უფლებამოსილი პირის განმარტებით, 2022 წელს უნივერსიტეტმა ჩამოწერა აქტივები, რომელთაგან 627 636 ლარის მცირეფასიანი და 1 240 109 ლარის აქტივები ჩამოიწერა საცნობარო ანგარიშიდან, ხოლო ძირითადი აქტივებიდან – 33 005 ლარი. სხვაობა ბრძანებით განსაზღვრულ და ჩამოწერილი აქტივების ღირებულებას შორის შეადგენს 87 232 ლარს, რომელიც უნივერსიტეტის განმარტებით, გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით;
- 2020 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა საცნობარო ანგარიშებზე ასახული დანაკლისი პირვანდელი ღირებულებით – 747 924 ლარი და ზედმეტობა – 2 686 ერთეული. 2021 წელს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი.

2021 წელს 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო შესრულებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა და მათ შესახებ ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების S11 შენიშვნაში სხვისთვის გადასაცემი აქტივები აღრიცხული აქვს „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე, ნაცვლად ანგარიშისა „აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემი და მიღებული“, სულ – 91 550 080 ლარი.

2021 წელს დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი ქართლი⁷³ და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა.⁷⁴

ასევე: სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან გამოთხოვილია ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იმ ორგანიზაციების შესახებ, რომელთა მესაკუთრე/წილის მმართველი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი ან მასში რაიმე სხვა ფორმით მონაწილე არის სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაცია.

შპს „თსუ-ოზონის“⁷⁵ 34%-იანი წილის მესაკუთრე არის თსუ, ხოლო 33%-იანი წილის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ცენტრი, ტექნიკური უნივერსიტეტი კი – შპს „სტუ-ის“⁷⁶ 26%-იანი წილის მესაკუთრე და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების ფონდის⁷⁷ დამფუძნებელი.

⁷³ საიდენტიფიკაციო კოდი 243919033.

⁷⁴ საიდენტიფიკაციო კოდი 405495744.

⁷⁵ საიდენტიფიკაციო კოდი 405385827.

⁷⁶ საიდენტიფიკაციო კოდი 405259474.

⁷⁷ საიდენტიფიკაციო კოდი 405501194.

საცნობარო მუხლების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი:

-)/ სააგენტოს, საცნობარო მუხლში – „სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლოატაციაში“, ასახული აქვს 387 363 ლარი, რომელიც 2017 წლიდან ისტორიულად მოჰყვება და ორგანიზაცია არ ფლობს ინფორმაციას მისი შინაარსის შესახებ.
-)/ სააგენტომ და ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინეს ინფორმაცია საცნობარო მუხლის ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ, სულ – 3 225 356 ლარი.⁷⁸
-)/ სამედიცინო უნივერსიტეტს ექსპლოატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ასახული აქვს განსაკუთრებულად გადასაცემი მოძრავი ქონების მუხლში, სულ – 4 239 108 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ტექნიკური უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, სააგენტო, ცენტრალური აპარატი და თსუ.

⁷⁸ სააგენტო - 608 892 ლარი, ტექნიკური უნივერსიტეტი - 2 616 464 ლარი.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია №1	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფს შიდაჯგუფური ოპერაციების შედარებას და ელიმინირებას (გამორიცხვას), მათ შორის, საჯარო სკოლების დონეზე; ასევე სამინისტრომ განიხილოს იმ ერთეულების კონსოლიდაციის საკითხი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კონსოლიდაციას დაქვემდებარებული ერთეულების კრიტერიუმებს, შეიმუშაოს და დაინერგოს შესაბამისი მექანიზმები გადარიცხული თანხების კონტროლისთვის.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №2	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დაინერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების სწავლის საფასურის მიხედვით განხორციელებული ოპერაციების (დარიცხვა, გადახდა და ა.შ.) საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №3	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. ორგანიზაციამ საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების ასახვისთვის გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №4	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციის ამსახველი სააღრიცხვო დოკუმენტების დროულ გადაგზავნას საბუღალტრო სამსახურში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №5	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ორგანიზაციამ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსბას 3-ის შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №6	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №7	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციამ არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №8	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №9	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალიზებული კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და შესაბამისად აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №10	სამინისტრომ დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საბანკო ანგარიშებისა და მიმღები პირების შეუსაბამობის შემთხვევაში ხარვეზის გამოვლენას და დროულ რეაგირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ლალი სეხნიაშვილი ელფოსტის მისამართი: lsekhniasvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE